



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

**ოჯახებისა და ბავშვების კეთილდღეობაზე
COVID-19-ის გავლენის რეალურ
დროში გამოკვლევა
(მესამე ტალღის ძირითადი შედეგები)**

 **MICS** PLUS

unicef 



04.10.2021

ოჯახებისა და ბავშვების კეთილდღეობაზე COVID-19-ის გავლენის

რეალურ დროში გამოკვლევა¹

(მესამე ტალღა)

I. გამოკვლევის აღწერილობა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური აგრძელებს ოჯახებისა და ბავშვების კეთილდღეობაზე COVID-19-ის გავლენის რეალურ დროში გამოკვლევას, რომელიც ხორციელდება გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერით. გამოკვლევა მიმდინარეობს მრავალინდიკატორული კლასტერული გამოკვლევის (MICS6) შერჩევის საფუძველზე. დაგეგმილია გამოკვლევის რამდენიმე ტალღის ჩატარება, რომლის ფარგლებშიც მიიღება სხვადასხვა სახის ინფორმაცია COVID-19-ის პანდემიის დროს ბავშვებისა და ოჯახების მდგომარეობის შესახებ.

გამოკვლევის ფარგლებში გროვდება მონაცემები როგორც ქალაქებში, ისე სოფლად მცხოვრებ შინამეურნეობებში. ქვეყნის მასშტაბით შერჩევის ზომა განსაზღვრულია 1 996 შინამეურნეობით, მათ შორის ქალაქად 966 ერთეულით, ხოლო სოფლად 1 030 ერთეულით. მონაცემების შეგროვება ხორციელდება პლანშეტური კომპიუტერების გამოყენებით, კომპიუტერიზირებული სატელეფონო ინტერვიუს მეთოდით (CATI).

გამოკვლევის მოსამზადებელი სამუშაოები 2020 წლის მეორე ნახევრიდან დაიწყო, განხორციელდა გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ შემუშავებული პირველი, მეორე და მესამე ტალღის კითხვარების ადაპტაცია, ტესტირება, სავლე პერსონალის ტრენინგები და ჩატარდა საპილოტე გამოკვლევები. გამოკვლევის მესამე ტალღის კითხვარით გათვალისწინებული მონაცემები შეგროვდა 2021 წლის მაისი-ივნისის პერიოდში.

გამოკვლევის დონემ შეადგინა 83.7 პროცენტი, მათ შორის ქალაქის ტიპის დასახლებებში - 84.0 პროცენტი, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში - 83.5 პროცენტი.

II. გამოკვლევის ძირითადი შედეგები

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ყოფნისგან თავის არიდებას, რესპონდენტების 79.8 პროცენტი მეტ-ნაკლებად ახერხებდა (ყოველთვის, ხშირად ან ხანდახან), ხოლო 20.2 პროცენტი იშვიათად ან საერთოდ ვერ ახერხებდა. იმის მიზეზად, თუ რატომ ვერ ახერხებდნენ, რესპონდენტების მიერ სახელდება სამსახურში სიარული (80.3%), საყიდლებზე წასვლა (50.5%), სტუმრად წასვლა ან შეხვედრა ვინმესთან (25.4%), აფთიაქში წასვლა (14.5%), ვიზიტი

¹„მონაცემთა მონიტორინგი რეალურ დროში/მრავალინდიკატორული კლასტერული გამოკვლევის დამატება“.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური


04.10.2021

კერძო დაწესებულებაში მომსახურების მისაღებად (12.9%), ვიზიტი სახელმწიფო დაწესებულებაში მომსახურების მისაღებად (7.3%), ვიზიტი სამედიცინო დაწესებულებაში (6.8%), კორონავირუსის ტესტის ჩატარება (0.6%).

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია რესპონდენტთა პროცენტული წილი, რომლებიც გამოკითხვამდე გასული 7 დღის განმავლობაში საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ყოფნისგან თავის არიდებას ახერხებდნენ იშვიათად ან საერთოდ ვერ ახერხებდნენ, მიზეზების მიხედვით.

დიაგრამა №1

საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ყოფნისგან იშვიათად თავის არიდების ან საერთოდ ვერ არიდების მიზეზების პროცენტული წილი (%)




გამოკვლევის თანახმად, გამოკითხვამდე გასული 7 დღის განმავლობაში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ყოფნისას, COVID-19-სგან თავდაცვის მიზნით, რესპონდენტების 80.1 პროცენტი პირბადეს ყოველთვის ატარებდა, 15.4 პროცენტი - ხშირად, 2.5 პროცენტი - ხანდახან, 1.5 პროცენტი - იშვიათად, ხოლო 0.5 პროცენტის განცხადებით, აღნიშნულ პერიოდში, საერთოდ არ ატარებდა პირბადეს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია რესპონდენტთა პროცენტული განაწილება, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ყოფნისას პირბადის ტარების სიხშირის მიხედვით, გამოკითხვამდე გასული 7 დღის განმავლობაში.

04.10.2021

დიაგრამა №2

პროცენტული განაწილება, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ყოფნისას პირბადის ტარების სიხშირის მიხედვით (%)




გამოკვლევის შედეგების მიხედვით, რომელიც ეფუძნება შინამეურნეობების მიერ დეკლარირებულ ინფორმაციას, შინამეურნეობების 13.9 პროცენტში, ერთმა წევრმა მაინც დაკარგა სამსახური დროებით ან ხანგრძლივი პერიოდით, 2020 წლის დეკემბრიდან გამოკითხვის მომენტამდე პერიოდში. აღსანიშნავია, რომ დასახლების ტიპის მიხედვით აღნიშნული მაჩვენებლის მნიშვნელობა განსხვავებულია: საქალაქო ტიპის დასახლებებისთვის 16.3 პროცენტს, ხოლო სასოფლო ტიპის დასახლებებისთვის 10.5 პროცენტს შეადგენს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია შინამეურნეობების პროცენტული წილი საქალაქო და სასოფლო დასახლებების მიხედვით, რომელთა ერთმა წევრმა მაინც დაკარგა სამსახური 2020 წლის დეკემბრიდან გამოკითხვის მომენტამდე პერიოდში, დროებით ან ხანგრძლივი პერიოდით.

04.10.2021

დიაგრამა №3

შინამეურნეობების პროცენტული წილი, რომელთა ერთმა წევრმა მაინც დაკარგა სამსახური 2020 წლის დეკემბრიდან გამოკითხვის მომენტამდე პერიოდში (%)



გამოკვლევის შედეგების მიხედვით, 2020 წლის დეკემბრიდან გამოკითხვის მომენტამდე პერიოდში ქვეყანაში შინამეურნეობების 37.4 პროცენტს შეუმცირდა საშუალო თვიური შემოსავლები. ქალაქის ტიპის დასახლებებში აღნიშნული მაჩვენებელი 38.2 პროცენტს, ხოლო სოფლად 36.3 პროცენტს შეადგენს.


შემოსავლის შემცირების ძირითად მიზეზად სახელდება COVID-19 და მასთან დაკავშირებული გარემოებები, როგორცაა კომპანიის/ ბიზნესის მოთხოვნის შემცირება, რომელშიც მუშაობდა შინამეურნეობის წევრი ან ეკუთვნოდა შინამეურნეობის წევრს (50.7%), კომპანიის/ ბიზნესის დახურვა, სადაც მუშაობდა შინამეურნეობის წევრი (16.9%), შინამეურნეობის წევრის ხელფასის შემცირება (8.5%), შინამეურნეობის წევრის მიერ საკუთარი კომპანიის/ ბიზნესის დახურვა (7.3%) და შინამეურნეობის წევრის სამუშაო საათების შემცირება (6.8%).

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია შინამეურნეობების პროცენტული წილი, რომელთა საშუალო თვიური შემოსავლები შემცირდა COVID-19-თან დაკავშირებული მიზეზების გამო.

04.10.2021

დიაგრამა №4


შინამეურნეობების პროცენტული წილი, რომელთა საშუალო თვიური შემოსავლები შემცირდა COVID-19-თან დაკავშირებული მიზეზებით (%)



გამოკვლევის შედეგების მიხედვით, შეკითხვაზე არიან თუ არა შეწუხებული, რომ თავად ან მათი შინამეურნეობის წევრი შეიძლება COVID-19-სგან მძიმედ ავად გახდეს, რესპონდენტების 45.1 პროცენტი პასუხობს, რომ ძალიან შეწუხებულია, 29.7 პროცენტი - შეწუხებულია ზომიერად, 12.5 პროცენტი - მეტ-ნაკლებად, 5.5 პროცენტი - უმნიშვნელოდ, ხოლო 7.0 პროცენტი საერთოდ არ არის შეწუხებული.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია პროცენტული განაწილება, რესპონდენტის წახილის მიხედვით იმაზე, რომ თავად ან მისი შინამეურნეობის წევრი შეიძლება COVID-19-სგან მძიმედ ავად გახდეს.

პროცენტული განაწილება, რესპონდენტის წახილის მიხედვით იმაზე, რომ მისი შინაგარეულობის წევრი შეიძლება COVID-19-სგან მძიმედ ავად გახდეს (%)




გამოკვლევის შედეგების მიხედვით, რესპონდენტების უმრავლესობა აცხადებს, რომ COVID-19-თან დაკავშირებით ესაჭიროებათ ინფორმაცია, რომელთაგან ყველაზე ხშირად სახელდება: ინფორმაცია COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინების შესახებ (43.0%), ინფორმაცია COVID-19-ის გავრცელების შესახებ (13.8%), ინფორმაცია COVID-19-ის, როგორც დაავადების შესახებ (13.4%), ინფორმაცია შეზღუდვების შესახებ (10.7%), ინფორმაცია პრევენციული ზომების შესახებ (3.9%), ინფორმაცია კარანტინის შესახებ (1.9%), ინფორმაცია სახელმწიფო დახმარებების შესახებ (1.5%), ინფორმაცია ტესტირების შესახებ (1.1%), ინფორმაცია ჰიგიენის დაცვის შესახებ (0.2%), ხოლო არანაირი სახის ინფორმაცია არ ესაჭიროება რესპონდენტთა 42.3 პროცენტს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია რესპონდენტთა პროცენტული წილი, იმის მიხედვით თუ რა ინფორმაცია ესაჭიროებათ COVID-19-თან დაკავშირებით.

04.10.2021

დიაგრამა №6

რესკონდენტთა პროცენტული წილი, იმის მიხედვით, თუ რა ინფორმაცია ესაჭიროებათ COVID-19-თან დაკავშირებით (%)




გამოკვლევის შედეგების მიხედვით, გამოკითხვამდე გასული 2 კვირის განმავლობაში შინამეურნეობების 27.3 პროცენტში ერთ წევრს მაინც დასჭირდა სამედიცინო მომსახურების მიღება. აღნიშნული მაჩვენებელი საქალაქო ტიპის დასახლებებისთვის 28.1 პროცენტს შეადგენს, ხოლო სასოფლო ტიპის დასახლებებისათვის - 26.3 პროცენტს. იმ შინამეურნეობებიდან, რომლის ერთ წევრს მაინც დასჭირდა სამედიცინო მომსახურების მიღება გამოკითხვამდე გასული 2 კვირის განმავლობაში, 94.9 პროცენტმა მიიღო აღნიშნული მომსახურება. აღნიშნული მაჩვენებელი საქალაქო ტიპის დასახლებებისათვის 96.9 პროცენტს შეადგენს, ხოლო სასოფლო ტიპის დასახლებებისათვის - 91.8 პროცენტს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია შინამეურნეობების პროცენტული განაწილება, იმის მიხედვით, დასჭირდა თუ არა მისი შინამეურნეობის ერთ წევრს მაინც სამედიცინო მომსახურების მიღება, გამოკითხვამდე გასული 2 კვირის განმავლობაში.

04.10.2021

დიაგრამა №7

შინამეურნეობების პროცენტული განაწილება, იმის მიხედვით, დასჭირდა თუ არა ერთ წევრს მაინც სამედიცინო მომსახურების მიღება (%)



გამოკვლევა ასევე ითვალისწინებდა COVID-19-ის გავლენის შეფასებას ბავშვთა განვითარებასა და ცხოვრების წესზე. გამოკვლევის შედეგების მიხედვით, 5-17 წლის ასაკის ბავშვების 31.9 პროცენტი, კვირის სამუშაო დღეებში ღამე ყოველთვის ერთსა და იმავე დროს იძინებს, 39.9 პროცენტი - ძირითადად ერთსა და იმავე დროს, 15.4 პროცენტი - ხანდახან, 9.7 პროცენტი - იშვიათად, ხოლო 2.2 პროცენტი არასდროს იძინებს ღამე ერთსა და იმავე დროს.


2020 წლის აპრილში საყოველთაო კარანტინის გამოცხადებამდე პერიოდთან შედარებით, 5-17 წლის ასაკის ბავშვების 69.9 პროცენტის ძილის გრაფიკი არ შეცვლილა, 19.8 პროცენტის გაუარესდა, ხოლო 7.7 პროცენტის გაუმჯობესდა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 5-17 წლის ბავშვების პროცენტული განაწილება, იმის მიხედვით, რამდენად ხშირად იძინებს ბავშვი ღამე ერთსა და იმავე დროს კვირის სამუშაო დღეებში.

04.10.2021

დიაგრამა №8

5-17 წლის ბავშვების პროცენტული განაწილება, იმის მიხედვით, რამდენად ხშირად იძინებს ბავშვი ღამე ერთსა და იმავე დროს კვირის სამუშაო დღეებში (%)



გამოკვლევის თანახმად, გამოკითხვამდე გასული 7 დღის განმავლობაში 0-17 წლის ასაკის ბავშვების 10.0 პროცენტი ატარებდა დროს ნებისმიერი ელექტრონული მოწყობილობის (ტელევიზორი, კომპიუტერი, სმარტფონი ან სხვა ელექტრონული მოწყობილობები) ეკრანთან 4 საათის და მეტი დროის განმავლობაში, 3-დან 4 საათამდე - 11.0 პროცენტი, 2-დან 3 საათამდე - 20.7 პროცენტი, 1-დან 2 საათამდე - 31.0 პროცენტი, 1 საათზე ნაკლებ დროს - 19.7 პროცენტი, ხოლო 5.6 პროცენტს საერთოდ არ გაუტარებია დრო ელექტრონული მოწყობილობების ეკრანთან. სქესის მიხედვით, როგორც ბიჭების, ასევე გოგოების უმეტესი ნაწილი ელექტრონული მოწყობილობების ეკრანთან 1-დან 2 საათამდე დროს ატარებს (შესაბამისად 31.8% და 30.3%). ელექტრონულ მოწყობილობების ეკრანთან გატარებული დრო, ბავშვების ასაკის მიხედვით, განსხვავებულია. 0-4 წლის ასაკის ბავშვების უმეტესობა 1 საათზე ნაკლებ დროს ატარებს ეკრანთან (40.3%), 5-9 და 10-13 წლის ასაკის ბავშვების უმრავლესობა - 1-დან 2 საათამდე (შესაბამისად 35.9% და 34.5%), ხოლო 14-17 წლის ასაკის ბავშვების უმეტესობა - 4 საათს და მეტ დროს (27.2%). აღსანიშნავია, რომ მოცემული საათები არ მოიცავს საშინაო დავალების შესრულებაზე დახარჯულ დროს.


საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

04.10.2021

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 0-17 წლის ასაკის ბავშვების პროცენტული განაწილება, გამოკითხვამდე გასული 7 დღის განმავლობაში ნებისმიერი ელექტრონული მონყობილობის ეკრანთან დღეში საშუალოდ გატარებული საათების რაოდენობის, სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით.

დიაგრამა №9

ბავშვების პროცენტული განაწილება, ელექტრონულ მონყობილობებთან დღეში საშუალოდ გატარებული საათების რაოდენობის მიხედვით (%)



შენიშვნა:

- ცალკეულ შემთხვევებში მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.

საკონტაქტო პირები:

ვასილ წაქაძე
ტელ.: (+995 32) 236 72 10 (600). E-mail: vtsakadze@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი
ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020). E-mail: mkavelashvili@geostat.ge